არაფორმალური განათლების დანერგვის სტრატეგიები ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებებში - რეკომენდაციათა პაკეტი

მოამზადა მანანა ჯინჭარაძე

იუნესკოს განმარტებით, ფორმალური განათლება განისაზღვრება, განათლების მიმწოდებლის მიერ ინსტიტუციონალიზებული, მიზანმიმართული და დაგეგმილი განათლება. ამ განმარტებაში, თითქოს არაფერი ესაქმება არაფორმალურ განათლებას, მაგრამ მისი განმსაზღვრელი მახასიათებელია, რომ იგი ფორმალური განათლების დამატება და/ან ალტერნატივაა; ინდივიდების უწყვეტი სწავლის პროცესისას, უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას; ემსახურება ყველა ასაკს, ზოგჯერ მოკლე ხანგრძლივობით, წყვეტილად, ხანმოკლე სემინარების, ან კურსების სახით, მაგრამ მოაქვს კვალიფიკაცია, რომელიც არ არის აღიარებული და/ან საერთოდ არ წარმოადგენს კვალიფიკაციას.

მაგ. მასწავლებელი მუშაობს, რომ განუვითაროს მოსწავლეს დამაჯერებლობა. დამაჯერებლობა არსადაა შეტანილი, - არც ქულით ფასდება, არც შეფასების სქემის ნაწილია და სავარაუდოდ, მხოლოდ განმავითარებელი შეფასების დროს მოიხსენიებს, ხოლმე, მასწავლებელი. თუმცა იგი ყველგან საჭიროა, - განსაკუთრებით პროფესიული წინსვლისა და ცხოვრების მიზნების ასასრულებლად.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა უნდა გააკეთოს სკოლამ ასეთი კვალიფიკაციების გამოსამუშავებლად, უნარების გასაძლიერებლად, არაფორმალური განათლების გასააქტიურებლად?

ჩვენ გთავაზობთ გზამკვლევის ტიპის რესურსს გრაფიკული ორგანიზატორით, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა და დაეხმარება სკოლის მესვეურებს არაფორმალური განათლების დანერგვასა და განვითარებაში.

#	ქმედითი ნაბიჯები	რეკომენდაციები
1.	არაფორმალური განათლების პროგრამა - დანერგვა/განვითარება	საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს არა მარტო მოსწავლეების, არამედ დაწესებულებაში მომუშავე ზრდასრული ადამიანების წიგნიერებას, განათლებას, ცხოვრებისეული და სამუშაო უნარების გაუმჯობესებას. არის შემთხვევები, როცა მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად ვითარდებიან, იძენენ ან გამოიმუშავებენ უნარებს, რომელიც საჭიროა, როგორც

		სოციალიზაციისას, ასევე პროფესიული ხელშეწყობისთვისაც.
2.	დამოკიდებულებების განვითარება საკვანძო კომპეტენციებთან	საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაზარდოს საკვანძო კომპეტენციების როლი ფორმალურ განათლებაში, რადგან სწორედ ეს კომპეტენციები ამუშავებს/ავითარებს ბევრ უნარს.
3.	მიმართებები ფორმალურ განათლებასთან	ნებისმიერი აქტივობა, ღონისძიება, კონკურსი, ფესტივალი და ა.შ. უნდა ატარებდეს შემეცნებით ხასიათს და მორგებული იყოს ზოგადი განათლების ეროვნულ და სასწავლო მიზნებზე.
4.	მოსწავლეთა მზარდი ავტონომიის შესაძლებლობა	სასურველია, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება არაფორმალური განათლების კოორდინატორს შეარჩევს, ან რომელიმე მასწავლებელს/მოსწავლეს/მშობელს დააკისრებს პასუხისმგებლობას მის განხორციელებაზე. მაგ. მოსწავლეთა თვითმმართველობებმა უხელმძღვანელონ სკოლაში ამ მიმართულებას, რასაკვირველია მასწავლებლის/კლასის დამრიგებლის/კათედრის წევრის მეთვალყურეობით. აღსანიშნავია, რომ გაცილებით საინტერესო, ეფექტური და სასარგებლო არის შედეგი, როცა მოსწავლეს/მოსწავლეთა ჯგუფს ეკისრება არაფორმალურ განათლებაზე პასუხისმგებლობა, სადაც მასწავლებლები, საჭიროებისამებრ, ფასილიტაციას უკეთებენ და გარედან ეხმარებიან.
5.	ინტერესთა სფეროს კვლევა	არაფორმალური განათლების დასანერგად/გასაძლიერებლად, ნებისმიერ შემთხვევაში, იმის მიუხედავად ვის ეკისრება პასუხისმგებლობა პროცესებზე, პირველი და აუცილებელი ნაბიჯია, რა აინტერესებს მოსწავლეთა ჯგუფებს არაფორმალურ განათლებაში. ხშირად ისინი აქცენტს აკეთებენ რბილი უნარების განვითარებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაზე. აქ უკვე სასურველი იქნება კვლევის/გამოკითხვის ჩატარება, მონაცემთა შეკრება და დამუშავება.
6.	დანერგვის ფორმატის შემუშავება სასკოლო/სათემო საზოგადოების მონაწილეობით	კვლევის შემდეგ, არაფორმალური განათლების ჯგუფმა, ერთად უნდა შეიმუშაონ დანერგვის ფორმატი. ცნობილია, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე, ასეთ საქმიანობას, ხელს უწყობს კლუბური და პროექტული მუშაობა. ასეთი მუშაობის დროს კი იზრდება თანამშრომლობა სასკოლო და სათემო საზოგადოების წევრებს შორის. სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეები ეკონტაქტებიან ერთმანეთს,

<table>
<tr><td></td><td></td><td>მასწავლებლებს, დირექციას, მშობლებს, სათემოში - ეძებენ მოდერატორებს, ისეთ პროფესიონალებს, რომელთაც მეტი უნარები და გამოცდილება აქვთ არაფორმალური განათლების მიმართულებით.</td></tr>
<tr><td>7.</td><td>სასკოლო გეგმა არაფორმალური აქტივობებისათვის</td><td>სკოლამ ყველა ამ პუნქტის გათვალისწინებით, სასწავლო წლის დასაწყისშივე, უნდა შეიმუშაოს სასკოლო გეგმაში შესატანი არაოფორმალური აქტივობები ან ცალკე შექმნას სასკოლო გეგმა არაფორმალური აქტივობებისათვის.

გეგმა, სასურველია იყოს მარტივი, შემუშავდეს სასკოლო საზოგადოების ერთობლივი მონაწილეობით. მაგ. ქვემოთ მოცემული მარტივი გრაფიკული სქემის სახით:

<table>
<tr><td>ღონისძიება</td><td>მიზანი</td><td>აქტივობები</td><td>დრო</td><td>პასუხ</td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
</table></td></tr>
<tr><td>8.</td><td>პროგრესის შეფასების სქემა/პორტფოლიო</td><td>სასურველია, გეგმას ახლდეს განხორციელებულ ღონისძიებათა შეფასების სქემა და/ან პორტფოლიო მოსწავლეთა პროგრესის გასაზომად. პორტფოლიოზე მუშაობა განუვითარებს მოსწავლეს თვითშეფასების უნარს, ავტონომიურობას, მისცემს მიღწევების დონის გაზომვის შესაძლებლობებს და გამოცდილებას, ჰოლისტურად დაანახებს სწავლა-სწავლების მთლიან ფორმატს.</td></tr>
</table>